პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 108
(3085)

7
1966 წ.
ივნისი
სამშაბათი
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე 25 წლისაა

დიდი სპორტის სათავეებთან

საუკუნის მეოთხედმა განვლო იმ ღირსსახსოვარი დღიდან, როცა თბილისელმა პიონერებმა და მოსწავლეებმა საჩუქრად მიიღეს დიდებული შენობა. ეს იყო 1941 წლის 2 მაისს. დღეს კი პიონერთა სასახლეში აღზრდილი პირველი თაობები უკვე პატივცემული, ხანდაზმული მოქალაქენი არიან.

ასეა. წლები წლებს მისდევს, კაცი სიჭარმაგეში შედის, მხოლოდ სასახლეს არ ეტყობა ხანი, მის ქათქათა კედლებში მუდამ ალისფერყელსახვევიანი გოგო-ბიჭები ტრიალებენ.

ვინ იცის, რამდენი მშენებელი, მეცნიერი, ლიტერატორი, მხატვარი, მუსიკოსი, სპორტსმენი ეზიარა პირველად თავის მომავალ საქმიანობას ნორჩების სასახლის კაბინეტებსა და ლაბორატორიებში, სახელოსნოებში, სპორტულ დარბაზებში.

ამიტომ არის, რომ დღეს ამ დიდმა ზეიმმა ერთნაირი სიხარულით მოიცვა როგორც ნორჩები, ისე უფროსი თაობა. ამიტომ არის, რომ სასახლის 25 წლისთავს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელები და სპორტსმენებიც ზეიმობენ.

აბა, რომელი სექცია, სკოლა, კაბინეტი დაიტრაბახებს სპორტის ერთ სახეობაში ერთდროულად მსოფლიოს ორი ჩემპიონის გაზრდას! სწორედ პიონერთა სასახლეში ეზიარენ ჭადრაკის საიდუმლოებას ბრწყინვალე მოჭადრაკეები, მსოფლიოს ორგზის გვირგვინოსნები — ჩვენი ნონა გაფრინდაშვილი და ტიგრან პეტროსიანი. მათი პირველი მასწავლებლები იყვნენ საუკეთესო სპეციალისტები არჩილ ებრალიძე და ვახტანგ ქარსელაძე. პიონერთა სასახლეში მსოფლიოს კიდევ 2 ჩემპიონი აღიზარდა: — მსროლელი შოთა ქველიაშვილი, მოფარიკავე გივი ანდრიაძე.

პიონერთა სასახლემ ჩვენს ფრენბურთს მისცა ოლიმპიური ჩემპიონი ვაჟა კაჭარავა, საქართველოს ნაკრების წევრები ცისანა აბუაშვილი, სტანისლავ ბუინოვი და ვადიმ გავრილენკო, საუკეთესო მოფარიკავეები რევაზ ცირეკიძე და იური ოსიპოვი, კალათბურთელები ილარიონ ხაზარაძე, ვალერი ლომაძე, ალექსანდრე გლურჯიძე, თამაზ ტოგონიძე, დავით გოძიაშვილი, გივი რუხაძე, ასტამურ აჩბა, მარლენ კეკელია, მოჭადრაკეები რომან ჯინჯიხაშვილი, ალექსანდრე ბოკუჩავა, ელისო კაკაბაძე, მანანა ტოგონიძე, ნანა ალექსანდრია.

სასახლეში ახლა სპორტის 11 სექცია მუშაობს, რომელთაც გამოცდილი მწვრთნელები — ვახტანგ ქარსელაძე, პეტრე იორდანიშვილი, თამარ წიგნაძე, ვერა ლაზარევა, თამარ გეგელაშვილი, ტერენტი ბახტაძე, ახალგაზრდა აღმზრდელები — ჯიმშერ ბაჩიაშვილი, გიორგი გრომოვი, ლუდმილა სნეგირევსკაია და სხვები ხელმძღვანელობენ.

გვჯერა, რომ თბილისის პიონერთა სასახლე კიდევ მრავალ შესანიშნავ ადამიანს გაზრდის — მეცნიერებს, მსახიობებს, კონსტრუქტორებს და, რა თქმა უნდა, სპორტსმენებს.

ო. ნოზაძე.



5 ივნისს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა (ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის ანგარიში იხილეთ მე-3 გვერდზე).

• • •

სურათზე: საბჭოთა ნაკრების მარჯვენა გარემარბი ს. მეტრეველი გარღვევაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

XXIII პარტია
12:11

პეტროსიანი — სპასკი
მოსკოვი 1966

მოსკოვი, 6 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს ესტრადის თეატრში გათამაშდა პეტროსიან—სპასკის მატჩის XXIII პარტია. მიუხედავად იმისა, რომ პეტროსიანმა უკვე გაინაღდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, დარბაზში ტევა მაინც არ იყო.

პეტროსიანმა კვლავ მიმართა ფრანგულ დაცვას, რომელსაც მან მატჩში ახალი სული შთაბერა. მე-7 სვლაზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გამოიყენა თავისი მწვრთნელის, დიდოსტატ ი. ბოლესლავსკის იდეა. სპასკი შეეცადა გრძელი როქით და განაპირა პაიკის წინსვლით გაემწვავებინა ბრძოლა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

პეტროსიანმა სახიფათო კონტრმუქარები შექმნა ლაზიერის ფრთაზე და სპასკის ლაზიერი გააცვლევინა. მალე მას მოჰყვა თითო ეტლის გაცვლაც და პოზიცია სავსებით გათანაბრდა.

მაგრამ სპასკი არ ცხრებოდა. მან ეტლი გადაიყვანა ლაზიერის ფრთაზე და შესამჩნევი უპირატესობა მიიღო. პეტროსიანი მატერიალური დანაკლისის წინაშე აღმოჩნდა და ამიტომ თავი დამარცხებულად სცნო.

აი პარტიაც:

სპასკი — პეტროსიანი
ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მc3 მf6 4. კg5 de 5. მ:e4 კe7 6. კ:f6 კ:f6 7. მf3 კd7 8. ლd2 კc6 9. მ:f6+ ლ:f6 10. მe5 0—0 11. 0—0—0 მd7 12. მ:c6 bc 13. h4 ეab8 14. ეh3 c5 15. ლg5 cd 16. ლ:f6 მ:f6 17. ე:d4 ეb7 18. ეb3 ე:b3 19. ab ეa8 20. ეc4 მe8 21. ეa4 მd6 22. g3 მფf8 23. კg2 ეc8 24. ე:a7 მფe7 25. მფd2 h6 26. c4 g5 27. hg hg 28. მფc3 მფd7 29. b4 ეh8 30. b5 ეh2 31. კc6+ მფd8 და პეტროსიანი დანებდა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 12:11 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ. XXIV პარტია შედგება 8 ივნისს.

ა. ნაცვლიშვილი — უძლიერესი

მოსკოვთან ახლომდებარე „დინამოს" სასროლეთზე დამთავრდა დოსააფისა და პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა საკავშირო შეჯიბრება ტყვიის სროლაში. პროგრამაში იყო სროლა „გაქცეულ ირემზე" და „გაქცეულ ტახზე".

ჭაბუკთა შეჯიბრებაში „გაქცეულ ირემზე" სროლა მოიგო მოსკოველმა ა. ბოკოვმა, რომელმაც 427 ქულა მოაგროვა და სპორტის ოსტატის ნორმაც შეასრულა. „გაქცეულ ტახზე" ასპარეზობაში უძლიერესი იყო ჩვენი რესპუბლიკის გუნდის წევრი ა. ნაცვლიშვილი — 294 ქულა. ამ ჭაბუკმაც პირველად შეასრულა ოსტატის ნორმა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოსკოვისა და რსფსრ-ს გუნდებმა.

უკანასკნელ საათს...

◆ **პარიზი, 6 ივნისი.** გაზეთ „იუმანიტეს" პრიზი ველოსპორტში, რომელიც აქ გათამაშდა, მოიგო ჩეხოსლოვაკიელმა ი. სმოლიკმა შეჯიბრებაში გამოდიოდნენ საფრანგეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, იტალიის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ველოსიპედისტები.

◆ **ბელუ-ორიზონტი, 6 ივნისი.** ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების II შემადგენლობამ, რომელშიც გამოდიოდნენ მანგა, ბელინი, ორლანდო, რილდო, ჟაირზინიო და სხვები, მოუგო პოლონეთის ეროვნულ ნაკრებს — 4:1.

◆ **შვეინფურტი, 6 ივნისი.** დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში გამართულ გფრ-სსრ კავშირის ათჭიდელთა მეორე საერთაშორისო შეხვედრა გერმანელი სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა — 59781:59141. პირად ჩათვლაში პირველი იყო ვ. მოლტკე — 7.802 ქულა. მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენმა რ. აუნმა — 7.682 ქულა.

◆ **ბუდაპეშტი, 6 ივნისი.** უნგრეთისა და შვეიცარიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 3:1.

◆ **სანტ-იაგო, 6 ივნისი.** ფეხბურთში უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ჩილის გუნდი ეროვნულ სტადიონზე შეხვდა ინგლისის „შეფილდ იუნაიტედის" ფეხბურთელებს. გაიმარჯვეს ჩილიელმა სპორტსმენებმა — 2:0

„ბ" კლასი
IV ზონა

სსრ კავშირის პირველობაზე

კისლოვოდსკი. მორიგ მატჩში საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში აქ ერთმანეთს შეხვდნენ „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდები — ადგილობრივი „სპარტაკი" და სოხუმის „დინამო".

მატჩი მოიგეს სპარტაკელებმა — 1:0.



მოსკოვი. იზმაილოვში, შელკოვსკის გზატკეცილთან ახლოს შენდება ფიზკულტურის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის სპორტულ ნაგებობათა კომპლექსი. 26 ჰექტარზე გადაიშლება მთავარი სასწავლო კორპუსი, 16-დარბაზიანი სპორტული კორპუსი, მანეჟის შენობა 100-მეტრიანი ასარბენი ბილიკით, სააუდიტორიო კორპუსი 870-ადგილიანი დარბაზით, სამედიცინო კორპუსი, საცურაო აუზი, სასტუმრო, საერთო საცხოვრებლები და სხვადასხვა სახის ღია სპორტული მოედნები.

განზრახულია მშენებლობა საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისთვის დამთავრდეს.

სურათებზე: ინსტიტუტის მთავარი სასწავლო და სპორტული კორპუსების მშენებლობა; მარჯვნივ — ახალი ნაგებობის მაკეტი.

ფოტო ა. სტუჟინისა.

მოსწავლეთა
XVIII

ბავშვებს ბურთი და მოედანი

უკვე რამდენიმე დღეა თბილისის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს საქართველოს სსრ მოსწავლეთა XVIII სპარტაკიადა. სპორტის რამდენიმე სახეობაში შეჯიბრებები უკვე დამთავრდა. გთავაზობთ შედეგებს.

● ველოსპორტი

საქართველოს სამხედრო გზის 33-ე კილომეტრზე თავდაპირველად სტარტი აიღო ინდივიდუალური რბოლის (დისტანცია 25 კმ) 91-მა მონაწილემ. როცა ფინიშთან აფხაზეთის I გუნდის წარმომადგენელი ვ. აბშილავა მივიდა, წამზომმა აჩვენა 37.54,5. იგი „ჩაეტია" I თანრიგის ნორმატივში. მაგრამ აფხაზი სპორტსმენის შედეგი გააუმჯობესა ყაზბეგელმა რ. კობიაშვილმა (37.02,8). მალე არც ეს დრო აღმოჩნდა სარეკორდო: თბილისის I ნაკრების წევრმა ვ. პეტრინმა აჩვენა 36.32,5, რაც მხოლოდ 2,5 წამით ჩამორჩება სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმას. ამას მოჰყვა კიდევ უკეთესი შედეგი, რაც მეორე თბილისელმა მ. ბულბულოვმა აჩვენა — 36.18,5 — მან შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. საპრიზო სამეულში სპორტსმენები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდნენ: 1. მ. ბულბულოვი, 2. ვ. პეტრინი, 3. რ. კობიაშვილი.

გუნდური რბოლის სტარტზე 18-მა კოლექტივმა მოიყარა თავი. აქ საუკეთესო დრო აჩვენა თბილისის I ნაკრებმა (1:14.06,5), რომლის შემადგენლობაში იყვნენ მ. ბულბულოვი, ვ. პეტრინი, ი. მელიქოვი და ლ. მალხასიანი. აფხაზეთის I ნაკრების დროა 1:16.38,5, ხოლო ქუთაისელებისა — 1:17.13,5.

შეჯიბრების ბოლოს გათამაშდა პირველობა 75 კმ-ზე ჯგუფურ რბოლაში, რომელშიც 73-მა ველოსიპედისტმა მიიღო მონაწილეობა. დასაწყისში ასპარეზობის მონაწილენი ერთად გაიჭრნენ, მაგრამ თანდათან გამოიკვეთა ლიდერთა ჯგუფი, რომელშიც 45 ველოსიპედისტი იყო. ორმოციოდე კილომეტრის გავლის შემდეგ ტემპს უმატა ვ. პეტრინმა, მაგრამ მან მაინც ვერ მოახერხა ძირითად ჯგუფისთვის გაესწრო. საბოლოოდ ფინიშთან მივიდა 34 სპორტსმენისგან შემდგარი ჯგუფი. პირველობა ერგო თბილისელ ი. მელიქოვს, რომელმაც ფინიშთან ოდნავ გაუსწრო ძირითად ჯგუფს. მან დისტანცია დაამთავრა 2:08.46.0-ში. ასეთივე დრო აჩვენა II ადგილის მფლობელმა აჭარის წარმომადგენელმა ა. ვლასენკომ. III ადგილზე გავიდა აფხაზეთის გუნდის წევრი ვ. აბშილავა.

როცა შედეგები დაჯამდა, გამოირკვა, რომ საერთო ჩათვლაში ყველას აჯობა თბილისის I გუნდმა (3 საჯარიმო ქულა). II ადგილზე გავიდა აფხაზეთის I ნაკრები (8). III ადგილი აჭარის ველოსიპედისტებმა დაიკავეს (11).

შეჯიბრებამ ცხადი გახადა, რომ თბილისში სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის ზრუნავენ, მაგრამ სამწუხაროდ, ასე როდია პერიფერიებშიც. აი მაგალითიც. მოუმზადებლობის გამო, ჯგუფურ რბოლაში სამართლიანად არ დაუშვეს კასპის გუნდი. წინა სპარტაკიადაში თბილისელებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა, წლეულს კი მათ მაინცდამაინც ვერ გამოიჩინეს თავი. ასეთივე შთაბეჭდილება დატოვა აჭარის გუნდმაც.

ბ. ვიქტოროვსკი.



მოსწავლეთა სპარტაკიადაზე წარმატებით გამოვიდა თბილისელი ი. მელიქოვი. სურათზე თქვენ მას ხედავთ შეჯიბრების შემდეგ.

ფოტო ბ. ვიქტოროვსკისა.

● სროლა

აფხაზეთის მსროლელებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს: I ადგილი დაიკავეს და უკან ჩამოიტოვეს თბილისელი სპორტსმენები. III ადგილი წილად ხვდათ ქუთაისელებს.

ახლა გადავხედოთ, ვის როგორი შედეგი ჰქონდა ცალკეულ ვარჯიშებში.

მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლა. გუნდური ჩათვლა — 1. აფხაზეთი (1695 ქულა), 2. აჭარა (1686), 3. თბილისი I (1673); პირადი — 1. ა. ბექვაია (აფხაზეთი) — 574, 2. თ. ჯვანაძე (ქუთაისი) — 568, 3. ვ. მასლოვი (აჭარა) — 565.

მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლა. გუნდური ჩათვლა — 1. ქუთაისი (1669), 2. თბილისი I (1601), 3. აფხაზეთი (1575); პირადი — 1. თ. კვანტალიანი (ქუთაისი) — 568, 2. კ. იურზევი (აფხაზეთი) — 565, 3. თ. სვინტრაძე (ქუთაისი) — 559.

მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლა სტანდარტზე (3×20). გუნდური ჩათვლა — 1. თბილისი I (1584), 2. აჭარა (1574), 3. აფხაზეთი (1547); პირადი — 1. ა. ჩურუბხაია (აჭარა) 540, 2. მ. ბერიძიშვილი (თბილისი I) — 532, 3. ი. შჩაპენკო (თბილისი I) — 530.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სროლა. გუნდური ჩათვლა — 1. ქუთაისი (775), 2. აფხაზეთი (737), 3. თბილისი I (713); პირადი — 1. თ. კვანტალიანი (ქუთაისი) — 274 (სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი), 2. კ. იურზევი (აფხაზეთი) — 260, თ. სვინტრაძე (ქუთაისი) — 256.

ჯ. კაციტაძე.

● ფარიკაობა

სპორტის ამ სახეობაში თითქმის არ ჰყავდათ კონკურენტი თბილისის I გუნდის წარმომადგენლებს, რომლებმაც საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველაზე მცირე საჯარიმო ქულა მიიღეს (4) და დამაჯერებლად მოიპოვეს სპარტაკიადის ჩემპიონობა. II ადგილზე გავიდა ქუთაისის ნაკრები (12), ხოლო III — აჭარის მოფარიკავენი (16).

მოგვყავს ცალკეულ სახეობებში (გუნდურ და პირად ჩათვლაში) გამარჯვებულ სამეულთა სია.

რაპირა (გოგონები): გუნდური ჩათვლა — 1. თბილისი I, 2. ზესტაფონი, 3. ქუთაისი; პირადი — 1. ჩიქოვანი (თბილისი I), 2. კაციაშვილი (რუსთავი), 3. ბუხრაშვილი (თბილისი I).

რაპირა (ჭაბუკები): გუნდური ჩათვლა — 1. თბილისი (I), 2. აჭარა, 3. ქუთაისი; პირადი — 1. აფციაური (თბილისი I), 2. ბასკაკოვი (აჭარა), 3. გურგენიძე (თბილისი I).

ესპადრონი: გუნდური ჩათვლა — 1. თბილისი (I), 2. აფხაზეთი, 3. ქუთაისი; პირადი — 1. ცქიტიშვილი (თბილისი I), 2. აიფაზოვი (თბილისი I), 3. გვაჯავა (აფხაზეთი).

დაშნა: გუნდური ჩათვლა — 1. თბილისი (I), 2. ქუთაისი, 3. აჭარა; პირადი — ხიდეშელი (თბილისი I), 2. ლაზარაშვილი (რუსთავი), 3. [illegible]შვილი (ქუთაისი).

გ. გოძიაშვილი.

● თავისუფალი ჭიდაობა

ნორჩ ათლეტთა ასპარეზობა ორ ჯგუფად გაიმართა. I ჯგუფში მონაწილეობა მიიღო 5-მა გუნდმა, II ჯგუფში — 17-მა. ბრძოლა მეტისმეტად საინტერესოდ წარიმართა. I ჯგუფში უძლიერესის სახელი მოიპოვა თბილისის I გუნდმა, II ადგილზე გავიდა ქუთაისის ნაკრები, ხოლო III — აჭარის წარმომადგენლები. II ჯგუფში პრიზიორთა სამეულია: 1. წითელწყარო, 2. საგარეჯო, 3. კასპი.

პირადი პირველობისთვის ბრძოლა იმდენად დაძაბული იყო, რომ ტურნირის ბოლომდე ძნელი იყო წინასწარმეტყველება, ვინ შეძლებდა უძლიერესის სახელის მოპოვებას.

საბოლოოდ, წონითი კატეგორიების მიხედვით, სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს: კვაჭაძემ (აჭარა), მუჯრიშვილმა (თბილისი), ვალიევმა (სამხრეთ ოსეთი), ჭკადუამ (თბილისი), მარგიევმა (სამხრეთ ოსეთი), მარსაგიშვილმა, ყულიაშვილმა, შიოშვილმა, ჩიხლაძემ და სიხარულიძემ (ყველანი — თბილისიდან).

ნ. ბრეგვაძე.

ამაგდარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ხანგრძლივი მუშაობისა და მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში დამსახურებისთვის, სასახლის ამაგდარ თანამშრომლებს საპატიო წოდებები მიენიჭათ, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა ვახტანგ ქარსელაძეს — ჭადრაკის კაბინეტის გამგეს.



სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვახტანგ ქარსელაძე ქართული ჭადრაკის დიდი მოჭირნახულეა. იგი თითქმის 20 წელია, რაც უანგაროდ და თავდადებით ემსახურება მოჭადრაკეთა ახალი თაობის აღზრდის საქმეს. ალბათ, შორს წაგვიყვანდა ჩამოთვლა ახალგაზრდა, პერსპექტიული მოჭადრაკეებისა, რომელთაც „ვ. ქარსელაძის სკოლა" აქვთ გავლილი.

ვახტანგ ქარსელაძე ბუნებას დაუჯილდოვებია ტალანტების მიგნებისა და მათი „გარანდვის" ნიჭით. ამიტომ გავიდა ვახტანგის მოწაფეთა უმრავლესობა დიდი ჭადრაკის გზაზე.

ერთხელ, 1954 წელს პიონერთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტში ვახტანგმა პატარა, ბაბთიანი გოგონა დამანახა და მითხრა:

— დააკვირდი, ამ გოგონას. აი, მომავალი მსოფლიო ჩემპიონი.

მეგობარს ეჭვის თვალით შევხედე და გავიღიმე. ვიცოდი მისი ამბავი, ვიცოდი, როგორ უყვარს მას თავისი აღსაზრდელები. ნათქვამი გადაჭარბებულად მეჩვენა.

— არა გჯერა?! დრო გავა და დარწმუნდები.

ეს გოგონა — ნონა გაფრინდაშვილი იყო.

მსგავსი წინასწარმეტყველება შეეძლო მხოლოდ აღმზრდელს, რომელსაც სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი სიყვარული ჭადრაკისა და მოწაფისადმი. თავად განსაჯეთ: ვახტანგი თითქმის არასოდეს შემცდარა აღსაზრდელის მომავალში.

ხშირად კითხულობენ: რით აიხსნება ვახტანგ ქარსელაძის მოწაფეთა წარმატება? — უპირველეს ყოვლისა, ბავშვთა ნიჭისა და შრომისუნარიანობის შედუღაბების უნარით. ქარსელაძეს, ისე როგორც არავის, შეუძლია აღსაზრდელებს ჭადრაკი შეაყვაროს, ვახტანგი ამას აღწევს იმით, რომ ბავშვს ჩაახედებს ჭადრაკის საიდუმლოებაში, აგრძნობინებს მას ამ ბრძნული თამაშის კეთილშობილებას.

ვახტანგ ქარსელაძეს არ უყვარს ლაპარაკი და წერა იმ დიდ საქმეზე, რომელსაც იგი მთელი არსებით ემსახურება, მაგრამ მასწავლებლის დაუღალავ შრომაზე მისი აღზრდილების მიღწევები მეტყველებს. აი ისინი, ვინც სახელი გაუთქვა პიონერთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტს და მის ხელმძღვანელს: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, ოსტატები ე. კაკაბაძე, მ. ტოგონიძე, რ. ჯინჯიხაშვილი, ა. ბოკუჩავა, ნ. ალექსანდრია, ოსტატობის კანდიდატები გ. მაჭავარიანი, მ. თხელიძე, გ. კალატოზიშვილი და სხვები. ბოლო წლებში კაბინეტთან მჭიდრო შემოქმედებით ურთიერთობაში არიან საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია და ოსტატობის კანდიდატი თამაზ გიორგაძე, რაც თვალნათლივ შეიმჩნევა ამ მოჭადრაკეების წარმატებებში.

ვახტანგ ქარსელაძე მთელი ცხოვრების მანძილზე კეთილი საქმისთვის იბრძვის. იგი დიდი სამამულო ომის მონაწილეა. ფაშიზმის განადგურების შემდეგ ღვაწლმოსილი მწვრთნელი დაუღალავად შრომობს ქართული ჭადრაკის ხვალინდელი დღისთვის. იგი დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა, როგორც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი. და ვახტანგი ერთი დღითაც არ ტოვებს ბრძოლის ველს, არც ახლა, ავადმყოფობის მიუხედავად, გონებით და გულით თავისი აღზრდილების გვერდითაა, განიცდის მათ ყოველ ნაბიჯს...

ამიტომ სპორტული საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეეგება ცნობას ვახტანგ ქარსელაძისთვის საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

თ. გიორგაძე.

იმედი თოვლივით გაქრა

ბოლო სამი წლის მანძილზე საქართველოს სათხილამურო ფედერაციის საქმიანობა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადისთვის სამზადისისკენ იყო მიმართული. სამისოდ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. საგრძნობლად ამაღლდა მოთხილამურეთა მომზადების დონე და აი, რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ, რომელიც ჩვენი ძალების გენერალური შემოწმება იყო, სანუგეშო ბევრი რამ დაგვანახვა.

ტურნირში კარგად გამოვიდნენ თბილისის, ბორჯომის, მესტიის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისისა და სხვა გუნდები.

ორმა მოთხილამურემ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა, ოცამდე სპორტსმენმა აჩვენა ოსტატობის კანდიდატისა და 91-მა — I თანრიგის შედეგი, მათგან თითქმის მესამედმა — პირველად.

მოსალოდნელი იყო, სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადაში, რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართა, საქართველოს მოთხილამურეები კარგად გამოვიდოდნენ და I სპარტაკიადაში მოპოვებულ შედეგებს გააუმჯობესებდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა — იმედი თოვლივით გაქრა. თუ I სპარტაკიადაში ჩვენი ქვეყნის 2 ჩემპიონი გვყავდა, ამჯერად საპრიზო ადგილზეც კი ვერავინ გავიდა. ვერ ვუსაყვედურებთ მხოლოდ სამთო მოთხილამურეებს, რომლებმაც გუნდურ ჩათვლაში ერთხელ კიდევ დაადასტურეს თავიანთი სიძლიერე. სამაგიეროდ, მეტად უსუსური იყო ორჭიდელების, ტრამპლინიდან მხტომელების, მორბენლების შედეგები.

საქართველოში სათხილამურო სპორტის განვითარებაში არსებული ხარვეზები ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ სპორტის ამ სახეობის დანერგვისთვის არაფერს აკეთებენ „ბურევესტნიკის", „ლოკომოტივის", „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოები, არმიელთა სპორტკლუბი. ხოლო „დინამოსა" და „კოლმეურნის" თითოოროლა ჯგუფი საქმეს ვერ შველის. არ იგრძნობოდა განათლების სამინისტროს ზრუნვა ბავშვთა შორის ამ სახეობის განვითარებისთვის. წლეულს კი მდგომარეობის გამოსასწორებლად სათანადო ღონისძიება დასახეს. უკეთ დგას საქმე „განთიადში".

წარსულს ჩაბარდა უმაღლესი სასწავლებლების კარგი ტრადიცია. სათხილამურო სპორტის დანერგვის საქმეში საყვედური არ ეთქმის მხოლოდ ფიზკულტურის ინსტიტუტს. უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ და სხვა ინსტიტუტებში კი არავინ ზრუნავს მოთხილამურეთა გუნდების შექმნისა და ხელის შეწყობისთვის.

რესპუბლიკის ბევრ მთიან რაიონებში სათანადოდ ვერ იყენებენ სათხილამურო სპორტის აღმავლობისთვის არსებულ ბუნებრივ პირობებს. მესტიაში და ამბროლაურში ტრამპლინები მოუვლელია. სავაჭრო ორგანიზაციები დროულად არ აწვდიან სპორტინვენტარს რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. ბაკურიანში შეუწყნარებლად ჭიანურდება სათხილამურო ბაზებისა და ტრასების მშენებლობა, არადანიშნულებისამებრ იყენებენ სათხილამურო ბაზებს, რომელთაც დამსვენებლებისთვის მუდამ ღია აქვთ კარი, სპორტსმენებისთვის — არა. ცუდად მუშაობს „ბურევესტნიკის" სათხილამურო ბაზა, რესპუბლიკური საბჭო კი გადამჭრელ ღონისძიებას არ ატარებს.

აი, მოკლედ, ის, რის თაობაზეც ილაპარაკა საქართველოს სათხილამურო ფედერაციის თავმჯდომარემ **გ. ბაქრაძემ** ფედერაციის პლენუმზე, რომელიც თბილისში გაიმართა. მომხსენებელმა მოუქნელი მუშაობისთვის გააკრიტიკა აგრეთვე ახალციხის, ახალქალაქის, აჭარის, ყაზბეგის, დუშეთისა და სხვა ფიზკულტურული ორგანიზაციები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: **ა. კალინინმა** („დინამო"), **ი. ბოჭორიძემ** („განთიადი"), **ა. ბალაევიჩმა** (ფიზკულტურის ინსტიტუტი), **გ. ჯაფარიძემ** (მესტია), **ლ. ფანჯაკიძემ** (ბაკურიანი), **ვ. კოსმაჩევსკიმ** (თბილისი), **ა. მხეიძემ** (თბილისი), **ფ. თვაურმა** (სპორტკლუბი „ისანი"), **ა. არხანგელსკიმ** (რესპუბლიკის მთავარი მწვრთნელი). ისინი ლაპარაკობდნენ, რომ სკოლებთან საშეფო მუშაობა სათანადო დონეზე არ დგას, რომ აუცილებელია თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, საწარმო კოლექტივებში სპორტის ამ სახეობის ფართოდ დანერგვა და საქალაქო სპარტაკიადების ხშირად გამართვა, იმაზე, რომ ჯგუფების მუშაობა ხარისხოვანი ინვენტარის უქონლობის გამოც ფერხდება, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტს ბაკურიანში არა აქვს ბაზა, რომ ბავშვთა მწვრთნელებად ხშირად მუშაობენ სპორტსმენები, რომლებიც უმეტესად შეჯიბრებებში არიან დაკავებულნი და საქმეს წესიერად ვერ უძღვებიან.

გ. ჯაფარიძემ გააკრიტიკა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭო, რომელმაც მესტიაში სათხილამურო სპორტში მომეცადინეთა ორივე ჯგუფი გააუქმა. უყურადღებოდაა მიტოვებული სათხილამურო ბაზა, საერთოდ, მესტიელ მოთხილამურეებს ნაკლები ყურადღება ეთმობა, — დაგვეხმარეთ და მოგვთხოვეთ, — თქვა მან.

ლ. ფანჯაკიძემ ილაპარაკა ბაკურიანის ახალი ბაზების მშენებლობისა და ძველთა სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხელშემშლელ პირობებზე, შეცდომებზე მწვრთნელთა მეთოდიკაში, წესრიგის დარღვევის ფაქტებზე და სხვ.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ **ლ. სანაძემ**.

შემდეგ გაიმართა არჩევნები. რესპუბლიკის სათხილამურო ფედერაცია გაიყო სათხილამურო და სამთო-სათხილამურო ფედერაციებად. სამთო-სათხილამურო ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია **ა. მხეიძე**, სათხილამურო ფედერაციისა — **გ. ბაქრაძე**.

ანგარიშგება-არჩევნები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნაკრების მწვრთნელთა საზრუნავი

მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 5 ივნისი. სსრ კავშირი — საფრანგეთი 3:3 (1:2).

სსრ კავშირი: ბანიკოვი (კავაზაშვილი), პონომარიოვი, შესტერნიოვი, დანილოვი, ვორონინი, აფონინი (სერებრიანიკოვი), მეტრეველი, საბო, ბანიშევსკი, მალოფეევი (მარქაროვი), ჩისლენკო.

საფრანგეთი: ეონი, ჯორკეფი, შორდა, არტელეზა, ბუძინსკი, ბოსკიე, ბლიანშე, ბონელი, გონდე, ერბენი, ჰაუსერი.

მსაჯი — ბ. ლიოევი (შვეცია).

დებიუტი მრავლისმეტყველი და იმედიანი იყო. მასპინძლებმა სწრაფად იგდეს ხელთ ინიციატივა და თავიდანვე ისე შეუტიეს მეტოქეს, რომ გოლი ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. ფრანგები მასირებული ძალებით და თავგამოდებით იცავდნენ კარს და არც კუთხურებს ერიდებოდნენ: კუთხური მარცხნიდან, კუთხური მარჯვნიდან, ისევ, ისევ კუთხურები... მე-10 წუთზე მარცხენა ფლანგიდან ჩამოწოდებული მაღალი ბურთის მიღებისას ერთმანეთს ხელი შეუშალეს ბანიშევსკიმ და ვორონინმა და დაიკარგა ანგარიშის გახსნის ნაღდი შანსი.

— ჩვენები მუდამ კარგად იწყებენ, — თქვა „ფუტბოლის“ პასუხისმგებელმა მდივანმა გ. რადჩუკმა და სიტყვას „იწყებენ“ ხაზი გაუსვა.

მართლაც, დებიუტი მრავლისმეტყველი და იმედიანი იყო.

მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ფეხბურთში, ერთნი უტევენ, მეორენი კი — გოლებს იმკიან: მე-19 წუთზე ფრანგები სწრაფ კონტრიერიშზე გადავიდნენ და ბლიანშემ, რომელმაც შესანიშნავად გამოიყენა დანილოვის უხეში შეცდომა, ანგარიში გახსნა — 1:0. მერე კი, სულ ორიოდე წუთის შემდეგ, გონდე კარგად გაიჭრა ცენტრში და ბანიკოვის კარში მეორე ბურთი გაიტანა — 2:0.

დარტყმა ძლიერი იყო, მაგრამ ასეთ ბურთს სსრ კავშირის ნაკრების მეკარე არ უნდა უშვებდეს. 21 წუთში სტუმრებმა ორჯერ დაარტყეს მასპინძელთა კარში და ორივეჯერ წარმატებას მიაღწიეს.



მარსელ არტელეზა

ჩვენები ისევ უტევენ — ფრანგების კართან კუთხურს კუთხური მოსდევს. და აი, 26-ე წუთზე მეტრეველს გააქვს პირველი საპასუხო ბურთი — 1:2.

მაყურებელი თითქოს კმაყოფილი უნდა იყოს მატჩისა; მინდორზე გაჩაღებულია მწვავე, სწრაფი ბრძოლა, საგოლე მომენტიც საკმარისზე ბევრია (მაგალითად, 37-ე წუთზე ბანიშევსკი პირისპირ აღმოჩნდა ეონთან, მაგრამ მისი თავური დარტყმა არაზუსტი გამოდგა; 42-ე წუთზე ბლიანშემ ცარიელი კარის სიახლოვეს ბურთს ფეხი... დააბიჯა; 44-ე წუთზე მალოფეევმა ვერ გაიტანა ნაღდი გოლი).

მაგრამ მხოლოდ თითქოს... ეს შეხვედრა ჩვენ ხომ კარზე მომდგარი მსოფლიო ჩემპიონატის საზომით უნდა გავზომოთ, აქ კი პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ საბჭოთა ნაკრების საქმე მაინცდამაინც ვერაა აწყობილი. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს დაცვის (პირველყოვლისა დანილოვის) და ვორონინის სუსტი თამაში. უკან მხოლოდ შესტერნიოვი და ნაწილობრივ პონომარიოვი მოქმედებენ საიმედოდ. დაცვის ხაზის უმთავრესი ხარვეზია ტაქტიკური უსუსურობა და ყოვლად გაუმართლებელი ნერვულობა. შიშველი, პერსონალური მეურვეობა დღევანდელ ფეხბურთში ყოვლად გაუმართლებელია და თუ იგი შემოქმედებითად, ორგანულად არ უთავსდება თამაშს ზონაში, აშკარა ხარვეზს წარმოქმნის. ასე იყო ამჯერადაც: ფრანგი თავდამსხმელები მშვენივრად ასრულებდნენ თავიანთი მწვრთნელის გერენის მითითებას და ხშირი, სწრაფი გაადგილებით იტყუებდნენ თავიანთ მეურვეებს ხან ფლანგებზე, ხან პირიქით, ცენტრში შეაგროვებდნენ ხოლმე მათ. ამის შედეგად ჩვენი კარის მასადგომებთან იქმნებოდა დერეფნები, სადაც ხანჯალივით იჭრებოდნენ ხან გონდე, ხან ბლიანშე, ხან ჰაუსერი...

დაიწყო მეორე ტაიმი. მასპინძელთა თავდამსხმელებმა გაცილებით შინაარსიანად და საზრიანად ჩაატარეს იგი. შეიცვალა თამაშის ნახაზი. ცუდად მოთამაშე მალოფეევის ნაცვლად შემოსულმა მარქაროვმა მწვავე გადაცემებითა და სწრაფი მანევრებით საძირკველი შეურყია ფრანგების მასირებულ დაცვას (1+6+1+3). სერებრიანიკოვი აქტიურად მონაწილეობდა გუნდის შეტევით ოპერაციებში (სწორედ მისი თანაავტორობით გაიტანეს ჩვენებმა ზედიზედ 2 ბურთი: 64-ე წუთზე ბანიშევსკიმ და 66-ე წუთზე ჩისლენკომ).

და როცა საბჭოთა ნაკრების გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა, ფრანგების ერთ-ერთი ეპიზოდური კონტრიერიში ჩვენი კარის აღებით დამთავრდა. ეს გოლი აღწერის ღირსია, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იგი მისი ავტორის — ბონელის განსაკუთრებული ოსტატობის ნაყოფი იყო. არა. აქ ისევ აშკარად იჩინა თავი საბჭოთა გუნდის მცველების ნერვულობამ და დაბნეულობამ. 78-ე წუთია... ბონელი გაუსხლტა პონომარიოვს და კავაზაშვილისკენ გაქანდა. მეკარემ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო: კარიდან გამოვიდა და აიძულა ბონელი უხეირო პოზიციიდან — გვერდიდან დაერტყა. ბურთი კარისკენ გაგორდა და იგი არც უნდა გასულიყო, მაგრამ დანილოვი ეკვეთა... ბურთის მოგერიებისთვის მოსულ შესტერნიოვს, წააქცია იგი და ბურთმაც გადაკვეთა კარის ხაზი — 3:3.

ისევ მომესმა მეზობლად მჯდომი ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტის სიტყვები:

— ეჰ, ხურცილავა იყოს ერთი აქ!..

ასეა თუ ისე, ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობას საკმარისზე მეტი საფიქრალი აქვს.

მ. კაკაბაძე.
(ტელეფონით, ჩვენი. სპეც. კორ.).

• • •

სურათებზე: (მარჯვნივ) ფრანგების მეკარე ეონი ილებს ძნელ ბურთს ა. ბანიშევსკისთან ბრძოლაში; (მარცხნივ) საბჭოთა ნაკრების გარემარბი ი. ჩისლენკო შეტევაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ანდრე შორდა

ახალი ამბები

● **კრაკოვი,** 5 ივნისი. პოლონეთში სტუმრად იმყოფებიან სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონები კიევის „დინამოს“ ფეხბურთელები. პირველი მატჩი მათ აქ გამართეს ადგილობრივ „ვისლასთან“. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:1. კიეველთაგან ბურთების ავტორები არიან პუზაჩი (2) და ბიბა.

● **რიო-დე-ჟანეირო,** 5 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონებმა ბრაზილიის ფეხბურთელებმა საერთაშორისო მატჩი გამართეს პერუს ნაკრებთან. მსოფლიოს ჩემპიონებმა გაიმარჯვეს — 4:0. მატჩში თამაშობდნენ გარინჩაც და პელეც, მაგრამ მიმომხილველები ვერ არიან აღტაცებული მათი თამაშით, თუმცა პელემ ერთი ბურთი გაიტანა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან.

● **პარიზი,** 5 ივნისი. აქ გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო რეგატა, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა სპორტსმენებიც. ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონმა ვ. ივანოვმა 1750 მეტრი 5 წუთსა და 35,1 წამში დაფარა და პირველი იყო. ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონებმა, ორმოსასმელიან წყვილებში ო. ტიურინმა და ბ. დუბროვსკიმ დაჯაბნეს ყველა მეტოქე და აჩვენეს — 5.12,4.

● **ხარკოვი,** 5 ივნისი. აქ დამთავრდა მოსკოვის, ლენინგრადის, ტულის, რიგისა და ადგილობრივ ველოსიპედისტთა სამატჩო შეხვედრა. ტრადიციული გარდამავალი თასი მოიპოვეს მოსკოველებმა. II ადგილზე არიან ტულელი, ხოლო III — ხარკოველი ველოსიპედისტები. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ რიგელი და ლენინგრადელი სპორტსმენები.

● **მოსკოვი,** 5 ივნისი. სსრ კავშირის ჩემპიონატზე ფარიკაობაში გათამაშდა გუნდური პირველობა ესპადრონით მოფარიკავეთა შორის. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ არმიელი და დინამოელი სპორტსმენები. ანგარიშით 9:5 გაიმარჯვეს არმიელებმა.

● **პარიზი,** 5 ივნისი. დამთავრდა საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ერთეულთა შეჯიბრებების ფინალში ავსტრალიელმა ტ. როჩმა მოუგო უნგრელ ი. გუიაშს — 6:1, 6:4, 7:5. ქალთა შორის ფინალში იბრძოდნენ ინგლისელი ა. ჰეიდონ-ჯონსი და ამერიკელი ნ. რიჩეი. გაიმარჯვა პირველმა — 6:3, 6:1. საბჭოთა ჩოგბურთელი ვ. კოროტკოვი ჭაბუკთა ასპარეზობის ფინალში შეხვდა ესპანელ გიერეროს და დაამარცხა იგი — 6:2, 6:3.

● **ლუქსემბურგი,** 5 ივნისი. აქ გაიმართა 250 კბ სმ მოტოციკლებით მსოფლიო ჩემპიონატის მე-8 ეტაპი. გაიმარჯვა შვედმა ა. იუნსონმა, II ადგილზეა ჩეხოსლოვაკიელი კ. დობრი, ხოლო III — ბელგიელი რ. დე კოსტერი. მსოფლიო ჩემპიონმა ვ. არბეკოვმა (სსრ კავშირი) თუმცა კი მოიგო პირველი ცდა, მაგრამ მეორე ცდის დროს მოტოციკლი გაუფუჭდა და დისტანციიდან გავიდა. 8 ეტაპის შემდეგ კვლავინდებურად ლიდერობს შვედი ტ. ჰალმანი — 40 ქულა. II ადგილზეა ბელგიელი ჟ. რობერი — 32, III — კ. დობრი — 28, ხოლო IV — არბეკოვი (16 ქულა).

მეტი ყურადღება ქალთა ხელბურთს

მაიკოპში ერთ კვირას გაგრძელდა სსრ კავშირის „ა“ კლასის II ჯგუფის ხელბურთელ ქალთა ჩემპიონატის I ტური.

საქართველოდან ამ ასპარეზობაში თბილისის „განთიადი“ მონაწილეობდა. შეხვედრების პირველ დღეს ჩვენი ქალები შეხვდნენ მინსკის „ბურევესტნიკს“, რომელიც შარშან „ა“ კლასის უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა. ბრძოლა შეუპოვარი იყო. განთიადელები რამდენჯერმე დაწინაურდნენ; მაგრამ ბოლოს მინსკელებმა იმარჯვეს და მატჩი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 14:10 (5:5).

მეორე დღეს თბილისელთა მეტოქე კვლავ უმაღლესი ლიგის შარშანდელი მონაწილე — კიევის „ბურევესტნიკი“ იყო. „განთიადის“ ხელბურთელებმა 34 წუთის განმავლობაში არ დათმეს ინიციატივა, მაგრამ რამდენიმე შეცდომამ მათ ამჯერადაც დააყრევინა ფარ-ხმალი — 8:10 (5:4).

III ტურში „განთიადმა“ პირველი გამარჯვება მოიპოვა კიშინიოვის „ინედორსტროისთან“ — 12:5 (5:3), შეხვედრების IV კალენდარულ დღეს კი ერევნის „აშხატანკთან“ — 12:8 (6:4).

ბოლო მატჩი თბილისელებმა კოხტლა-იარვეს „კალევთან“ წააგეს — 9:16 (2:6).

საბოლოოდ, მაიკოპის ჯგუფის გუნდებს შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. „კალევი“ (კოხტლა-იარვე) — 10 ქულა. 2. „ბურევესტნიკი“ (მინსკი) — 8, 3. „ბურევესტნიკი“ (კიევი) — 6, 4. „განთიადი“ (თბილისი) — 4, 5. „აშხატანკი“ (ერევანი) — 1, 6. „ინედორსტროი“ (კიშინიოვი) — 1.

განთიადელებმა მაინც გამოიჩინეს თავი, — მიიღეს ტურნირის ყველაზე დისციპლინიანი და კორექტული გუნდისთვის დაწესებული პრიზი.

თბილისელი ხელბურთელების წარუმატებლობა იმითაც უნდა აიხსნას, რომ მათ ჯერ კიდევ მცირე სატურნირო გამოცდილება აქვთ. ამიტომ ამთავითვე საჭიროა რესპუბლიკის სპორტულმა ორგანიზაციებმა და საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ იზრუნონ, რომ ქალთა გუნდებისთვის დაგეგმონ რაც შეიძლება მეტი შეხვედრა სსრ კავშირის უძლიერეს კოლექტივებთან. ეს დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი სპორტსმენების ოსტატობის ამაღლებას, რაც თავისთავად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იქნება იმისა, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე (გაიმართება ოქტომბერს, სოჭში) ქართველი ხელბურთელი ქალები უკეთ გამოვიდნენ.

* * *

ახლახან როსტოვში ადგილობრივი სპორტული კლუბის „როსსელმაშის“ თაოსნობით გაიმართა ხელბურთელ ქალთა და გოგონათა შეხვედრები „კავკასიის თასზე“. ამ ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი დედაქალაქის ნაკრებმა გუნდებმაც.

საპრიზო ადგილები ასე განაწილდა — ქალთა გუნდები: 1. ბაქოს, 2. როსტოვის, 3. თბილისის ნაკრები. პირველ სამეულში ადგილები ამავე თანმიმდევრობით განაწილდა გოგონათა გუნდებს შორისაც. გამარჯვებულებმა ჯილდოდ მიიღეს „კავკასიის თასი“ და ოქროს მედლები. მათ კი, ვინც II-III ადგილებზე გავიდა, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები გადაეცათ.

ასპარეზობაში მონაწილე გუნდების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ტრადიციად აქციონ „კავკასიის თასის“ გათამაშება ქალთა გუნდებს შორის. განზრახულია მორიგი შეჯიბრება ერევანში გაიმართოს.

ვ. არაქელოვი,
„განთიადის“ ხელბურთელ ქალთა გუნდის მწვრთნელი.

ლიდერები არ ცხრებიან

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა XXIII ჩემპიონატი

მონაწილეებმა უკვე 13 ტური განვლეს (სათამაშო დარჩა კიდევ ოთხ-ოთხი პარტია). მაგრამ კვლავ ღიად რჩება ჩემპიონის ვინაობის საკითხი. მართალია, ც. კახაბრიშვილი განაგრძობს ერთპიროვნულ ლიდერობას (მას 11,5 ქულა აქვს), მაგრამ ა. ჩაიკოვსკაია მისი დაწევის შანსებს ინარჩუნებს (ა. ჩაიკოვსკაიას 8,5 ქულა და 3 გადადებული პარტია აქვს). სწორედ ეს გარემოება აძლიერებს ინტერესს შეჯიბრებისადმი.

დაძაბული ჭიდილია მომდევნო საპრიზო ადგილებისთვის გამოცდილ თ. ხუგაშვილსა (8,5) და ნორჩი მოჭადრაკეების ნ. ხუბულურსა (8,5) და ც. კობაიძეს (8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია) შორის. თ. ხუგაშვილმა სტარტზე 2 პარტია წააგო, ხოლო 7 მომდევნო შეხვედრაში 6,5 ქულა დააგროვა! სწორედ მასთან დამარცხდა ნ. ხუბულური გადამწყვეტ პარტიაში. სამაგიეროდ, ნინომ რევანში აიღო ს. ივანოვასთან მოგებით და ც. კახაბრიშვილთან ყაიმით. ც. კობაიძე ტოლს არავის უდებს ფინიშზე საინტერესო იქნება მისი შეხვედრები ნ. ხუბულურსა და თ. ხუგაშვილთან.

აი, **XII** და **XIII** ტურების შედეგები. **XII** ტური: ჩიქობავა — კობაიძე 0:1, ლოლიშვილი — შენგელია 1:0. მანველოვა — ივანოვა 0:1, გიორგაძე — ჩხიკვაძე 0,5:0,5, ხუგაშვილი — ჩომახიძე 1:0, ნაჭყებია — ბაძაღუა 1:0, **XIII** ტური: გოგიავა—ჩიქობავა 0:1, კობაიძე — ლოლიშვილი 1:0, შენგელია — მანველოვა 0:1, კახაბრიშვილი — ჩხიკვაძე 1:0, გიორგაძე — ხუგაშვილი 0:1, ბაძაღუა — სვანაძე 1:0.

თ. ნინოშვილი.

ჭადრაკი

გუშინ...

XIV ტურში ყურადღების ცენტრში იყო თ. ხუგაშვილი — ც. კახაბრიშვილის შეხვედრა. ხუგაშვილმა დასაწყისშივე ძლიერი იერიში მიიტანა, მაგრამ აღელვებით ითამაშა და დამარცხდა. წინ წაიწია ა. ჩაიკოვსკაიამ, რომელმაც დ. სვანაძეს მოუგო. ნ. ხუბულურმა დაამარცხა ზ. შენგელია, ნ. ჩიქობავამ — ლ. ნაჭყებია, მ. ჩომახიძემ — ნ. გიორგაძე. 3 პარტია გადაიდო.

ნ. ა. ამბოკაძე

ქართული ფეხბურთის ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა მისი ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი — ნიკოლოზ ანდრიას ძე ამბოკაძე.

იგი დაიბადა 1902 წელს ქ. კიროვაბადში. 1915 წელს საცხოვრებლად გადმოდის ქ. ქუთაისში, ხოლო 1919 წელს თბილისში, სადაც 1920 წელს დაამთავრა ვაჟთა მე-6 გიმნაზია.

საშუალო განათლების მიღების შემდეგ ნ. ა. ამბოკაძემ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სწორედ ეს ხანაა ფეხბურთში მისი აქტიური მოღვაწეობის პერიოდი. იგი იყო უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ყველა შეჯიბრებათა უცვლელი მონაწილე. შემდეგში ნ. ა. ამბოკაძე თამაშობდა „დურუჯში“, არაერთხელ გამოსულა საქართველოსა და ამიერკავკასიის ნაკრებ გუნდებში.

1930 წლიდან 1937 წლამდე იგი მუშაობდა ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ბანკის კანტორაში, შემდეგ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის „ცეკავშირის“ საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსად. ბოლო ხანებში იგი იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წევრი, ფინანსებისა და თვითღირებულების განყოფილების უფროსი

პარტიამ და მთავრობამ დააფასეს ნ. ა. ამბოკაძის დამსახურება, იგი დაჯილდოებულ იყო მთავრობის ჯილდოებით.

ნ. ა. ამბოკაძე იყო უაღრესად პატიოსანი, გულისხმიერი და შრომისმოყვარე ადამიანი. მან ბევრი რამ გააკეთა თავისი ქვეყნისთვის და გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში. მისი ნათელი ხსოვნა წარუშლელი დარჩება ჩვენს გულებში.

ამხანაგების ჯგუფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვება დიდი ანგარიშით

ესტონეთისა და საქართველოს მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩის მონაწილეებმა გუშინწინ დაამთავრეს I ტურში გადადებული პარტიები. ბ. გურგენიძე და ი. ნეი ყაიმზე შეთანხმდნენ. გ. უუსიმ ზუსტი თამაშით დაამარცხა რ. ჯინჯიხაშვილი, ხოლო ი. ჩიქოვანმა — ა. ხერმლინი. ამრიგად, I ტურის ანგარიშია 8:2 ჩვენების სასარგებლოდ.

გუშინ შედგა II ტური. კვლავ ისახელეს თავი ჩვენმა ქალებმა: ნ. გაფრინდაშვილმა მოუგო მ. სამოლს, ე. ქაქაბაძემ — ა. რუკს, ნ. ალექსანდრიამ — ვ. კალასს.

ჩინებულად ჩაატარა შეხვედრა თბილისის ჩემპიონმა ი. ჩიქოვანმა, რომელმაც დაამარცხა ა. ხერმლინი. ა. ბოკუჩავამაც მეორედ მოუგო თავის მეტოქე რ. აასას.

ყაიმით დასრულდა ი. ნეი — ბ. გურგენიძის, რ. ჯინჯიხაშვილი — გ. უუსის, რ. ეტრუკ — ა. ბუსლაევის, თ. ლომაია — ვ. როდენსტვენსკაიასა და თ. გიორგაძე—ხ. ლეიკის შეხვედრები.

II ტურიც მოიგეს ჩვენმა მოჭადრაკეებმა — 7,5:2,5.

ამრიგად, ამხანაგური მატჩი დასრულდა საქართველოს მოჭადრაკეების გამარჯვებით — 15,5:4,5.

ფიდეს ზონალურ ტურნირებზე

წლეულს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უნდა ჩატარდეს ფიდეს ზონალური ტურნირები, სადაც გამოვლინდება მსოფლიოს მომავალი პირველობის მონაწილე ვაჟები და ქალები.

ფიდემ საჭადრაკო მსოფლიო 10 ზონად დაყო. ზონებში უნდა შეირჩნენ საზონათშორისო ტურნირის მონაწილენი. საზონათშორისო ტურნირი მომავალ წლისთვისაა დანიშნული.

I ზონის ტურნირი გაიმართება ჰოლანდიაში (სექტემბერ - ოქტომბერი). აქ ითამაშებს 18 დიდოსტატი და ოსტატი ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. როგორც გაზეთი „ბორბა“ იუწყება, ამ ჯგუფში იუგოსლავიის სახელით გამოვლენ დიდოსტატი გლიგორიჩი და საერთაშორისო ოსტატი ველიმიროვიჩი. II ზონალურ ტურნირს წლის ბოლომდე ჩაატარებს გდრ-ის საჭადრაკო ფედერაცია. მასში 21 მონაწილე იქნება, მათ რიცხვშია იუგოსლავიელი დიდოსტატები პარმა და მატულოვიჩი.

III ზონალური ტურნირი (18 მონაწილე) იწყება ვრნიაჩკა-ბანიაში (იუგოსლავია). მასპინძლებიდან აქ ითამაშებენ დიდოსტატები ივკოვი და მატანოვიჩი.

IV ზონალურ ტურნირად ითვლება სსრ კავშირის ჩემპიონატი, რომელიც 25 დეკემბერს დაიწყება თბილისში.

V ზონალურ ტურნირში (აშშ-ის ჩემპიონატი) შეჯიბრება ჩატარდა იანვარში. აქ გაიმარჯვეს დიდოსტატებმა ფიშერმა, რეშევსკიმ და ბირნმა.

VI ზონალურ ტურნირად ითვლება კანადის ჩემპიონატი, შემდეგ ზონად — ცენტრალური ამერიკა, VIII ზონად — —სამხრეთ ამერიკა (ტურნირი გაიმართება არგენტინაში). დასავლეთი აზია ითვლება IX ზონად (ტურნირი გაიმართება ისრაელში), აღმოსავლეთი აზია და ავსტრალია — X ზონა (ტურნირი ჩატარდება ახალ ზელანდიაში).

ვაჟებთან ერთად გაიმართება ქალთა ზონალური ტურნირებიც: ერთ ასეთ ზონალურ ტურნირად ითვლება მორიგი საკავშირო ჩემპიონატი ვოლგოგრადში (ოქტომბერი). II კი იწყობა ესპანეთში 2-24 სექტემბერს. აქ ითამაშებენ იუგოსლაველები ნედელკოვიჩი, კ. იოვანოვიჩი, კონარკოვსკა - სოკოლოვა. მეოთხე ადგილი იუგოსლავიიდან დაეთმობა იოკიჩ—შტადლერს შორის გამარჯვებულს.

მოხდება თუ არა ცვლილება?

საერთაშორისო საფეხბურთო წრეები დიდი ინტერესით მოელიან 11 ივნისს. ამ დღეს ბრიტანეთის ქალაქ ლანდიდნოში (უელსი) გაიმართება ფეხბურთის საერთაშორისო საბჭოს სესია, რომელიც უფლებამოსილია საბოლოოდ დაადგინოს ცვლილებანი და შესწორებანი თამაშის წესებში.

11 ივნისის სხდომამ უნდა გადაწყვიტოს ერთობ დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც წამოჭრილია ფიფა-ს მიერ. კერძოდ: შეიძლება თუ არა ოფიციალური საერთაშორისო მატჩების მსვლელობაში შეცვლილ იქნას 2 მოთამაშე, როგორც ახლა ეს პრაქტიკაშია მიღებული მთელ რიგ ქვეყნებში (მსოფლიო ჩემპიონატის, ევროპის თასის, ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში მოთამაშეთა შეცვლა არაა დაშვებული).

ფიფა-ს წინადადებაში არაა ხაზგასმული მეკარისა და მინდვრის ერთი მოთამაშის შეცვლა. იქ ლაპარაკია იმაზე, რომ ოფიციალურ შეჯიბრებებში გუნდებს უფლება მიეცეს შეცვალონ 2 მოთამაშე საერთოდ.

საბჭოს უფლება აქვს მიიღოს ნებისმიერი დადგენილება, ამასთან, თუ მოხდა ცვლილება წესებში — დაუყოვნებლივ შეიყვანოს იგი მოქმედებაში, ან დაადგინოს გარკვეული თარიღი. ე. ი. შეიძლება ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში გუნდებს ნება დართონ ყოველ მატჩში გამოიყვანონ 13 მოთამაშე.

საინტერესო ნაშრომი

ამ ორიოდე კვირის წინ თბილისელმა მაყურებელმა ნახა უცხოეთის კინოქრონიკის სპორტული ნაწილი, რომელშიც სხვათა შორის, ნაჩვენები იყო ჰოკით ხტომა მდინარეზე.

ეს ხალხური შეჯიბრება პოლანდიის ერთ-ერთ ქალაქში იყო გადაღებული. უბრალო მაყურებლები ერთიმეორის მიყოლებით ცდილობდნენ 15-17 მეტრის სიგანის მდინარის გადალახვას ჰოკის საშუალებით. გამარჯვებულნი ტაშით ჯილდოვდებოდნენ, დამარცხებულნი კი გაწუწულნი ამოყავდათ წყლიდან.

სანახაობა მართლაც ჩინებული იყო. ჩემს გვერდით მჯდომმა ერთმა ახალგაზრდამ აღტაცება ვერ დაფარა და ამხანაგს გადაულაპარაკა:

— აი, მესმის! სპორტის ლამაზი სახეობაცაა და პრაქტიკულიც. რითი ჩამოუვარდება ახლა ეგ ჰოკით სიმაღლეზე ხტომას?

ნათქვამი სავსებით მართებული იყო და ალბათ მრავალ მომხრეს იპოვნიდა სვანეთისა და საქართველოს სხვა მაღალმთიანი რაიონების მცხოვრებთა შორის. საქმე ისაა, რომ სპორტის ეს ხალხური სახეობა, რომელსაც თბილისელები უცხოეთის კინოქრონიკის საშუალებით გაეცნენ, კარგა ხანია პრაქტიკულ გამოყენებას პოულობს ამ რაიონების მოსახლეობაში. იქაური ახალგაზრდები სწორედ ჰოკით გადადიან მდინარეებსა და ხრამებზე, ეჯიბრებიან ერთმანეთს სიგრძეზე ხტომაში.

სამწუხაროდ, სპორტის კიდევ ბევრი ხალხური სახეობაა საქართველოს ფართოსაზოგადოებრიობისთვის უცნობი და ხელმიუწვდომი. ეს გარკვეულ საფრთხეს უქმნის ხალხის შექმნილ და საუკუნეების მანძილზე შემოწმებულ გამოყენებით სახეობათა შენარჩუნებას.

განა სასიხარულო არ იყო, რომ მსოფლიო ახალგაზრდობის მესამე სპორტულ თამაშებში, რომელიც მოსკოვში გაიმართა, ქართულმა ისინდმა და ცხენბურთმა მნახველთა საერთო აღიარება ჰპოვა? უცხოელმა სპეციალისტებმა მაშინ ცხენბურთს გარკვეული უპირატესობა მისცეს ინგლისურ „პოლოსთან“ შედარებით და ფირზე აღბეჭდეს გუდაუთელ და ჩოხატაურელ მხედართა ასპარეზობა.

განა საამაყო არ იყო, რომ ცნობილმა პოლონელმა ჟურნალისტმა ქრისტოფ ბლაუჰტმა ჟურნალ „სპორტ იმ ბილდში“ საქართველოს სპორტული ცხოვრების შესახებ გამოქვეყნებულ სტატიას „ლელოდან ისინდამდე“ უწოდა?

ჩვენში კი ეს სახეობები, რომელთაც უცხოელები აღტაცებაში მოჰყავთ, მივიწყებულია.

ამიტომ არის მისასალმებელი გამოცემა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიის კათედრის გამგის დოცენტ ვ. ელაშვილის საყურადღებო ნაშრომისა — „სპორტის ხალხური სახეობანი ფიზიკური აღზრდის საბჭოურ სისტემაში“. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი არც ისე დიდია, ავტორი ახერხებს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს ხალხურ სახეობათა წარმოშობის თანამედროვე პირობებში მათი პრაქტიკული გამოყენებისა და როლის შესახებ. ნაშრომში აღწერილია მთელი რიგი ხალხური სპორტული სახეობები, რომელთა აღორძინება და საქართველოს ქალაქებსა და პერიფერიებში ხელახლა დანერგვა დიდ წვლილს შეიტანდა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

გ. სამსონაძე.



თვითმფრინავი მანქანაზე ჯდება



ეს ორი სურათი დასავლეთგერმანული ჟურნალის „შტერნის“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში დაიბეჭდა ასეთი წარწერით:

„ფრენა ბევრს შეუძლია. მაგრამ თვითმფრინავით ავტომანქანაზე დაჯდომას ჯონ ფალოკსის მეტი ვერავინ მოახერხებს“.

ჯონ ფალოკსი ყოფილი ფრანგი სამხედრო მფრინავია. ადრე მას რეაქტიული თვითმფრინავები დაჰყავდა. ჯონი დიდად არის გატაცებული ავიასპორტით და უმაღლესი პილოტაჟის ოსტატად ითვლება. იგი კარგა ხანია არავის უთმობს მსოფლიო რეკორდს უმაღლესი პილოტაჟის ერთ-ერთი ილეთის შესრულებაში.

თავის პატარა, ორფრთიან მანქანაზე, რომელსაც იგი ალერსით „მოღუღუნე ბიჭუნას“ ეძახის, ფალოკსი თავშესაფრ ილეთებს აკეთებს ჰაერში. მფრინავი არა ერთხელ ბეწვზე გადარჩენილა, მაგრამ სიმშვიდე და უდიდესი ოსტატობა მუდამ შველოდა.

ფალოკსი ყოველთვის ოცნებობდა თვითმფრინავი ყოველნაირ ადგილზე დაესვა. ამბობდა, — თვითმფრინავი ჩიტს ჰგავს და ჩიტივით უნდა ჯდებოდეს იქ, სადაც საჭიროაო. და აი, მისი ოცნება ახდა. ფალოკსმა თვითმფრინავი დასვა მანქანაზე, რომელიც საათში 90 კმ-ის სისწრაფით მიქროდა.

ძალიან ვწუხვარ, რომ ავიასპორტი, უმაღლესი პილოტაჟის სპორტი ჯერ კიდევ არ არის განვითარებული ყველა ქვეყანაში ისე, როგორც საჭიროა, თუმცა მას უდიდესი პრაქტიკული სარგებლობის მოტანა შეუძლიაო.—განაცხადა სპორტსმენმა გამარჯვების შემდეგ.

აას-ი.

კვლავ მსოფლიო რეკორდი

ერევანში გამართულ ველოსიპედისტთა შეჯიბრებაზე კვლავ ბრწყინვალე შედეგი აჩვენა მსოფლიო ჩემპიონმა ო. ფხაკაძემ. გიტში 500 მ-ზე სვლით მსოფლიო რეკორდის (29,3 წამი) დამყარების მეორე დღეს იგი კვლავ გამოვიდა ველოსპორტის ამ სახეობაში და ყველა მოლოდინს გადააჭარბა, დისტანცია დაფარა 29 წამში და თავისივე მსოფლიო რეკორდი ერთბაშად 0,3 წამით გააუმჯობესა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტული [illegible]

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. **სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი). 7 ივნისი.** დუბლშემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. **8 ივნისი.** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 19 ს.

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **7 ივნისი. საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. XV ტური.** დასაწყისი 17 ს.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭო, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია და ქართული ფეხბურთის ვეტერანები იუწყებიან

ნიკოლოზ ანდრიას ძე ამბოკაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს. გამოსვენება დღეს 17 საათზე ბინიდან. ბერძენიშვილის ქ. № 4.

ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 2 უე 01598